Gebrüder Weiss

ქცევის კოდექსი

www.gw-world.com

ვერსია 3.0. / 01/01/2022

წინასიტყვაობა

ოჯახური კომპანია Gebrüder Weiss (GW) თაობების განმავლობაში გაცნობიერებულად უდგება მის პასუხისმგებლობას იცხოვროს, აწარმოოს ურთიერთქმედება და მოელოდეს ეთიკური ღირებულებების დაცვა თავისი თანამშრომლებისა და საქმიანი პარტნიორებისგან. წინამდებარე ქცევის კოდექსში გაწერილი ფასეულობების დაცვა სავალდებულო ხასიათს ატარებს. წინამდებარე ხელმძღვანელი პრინციპების დაცვა ევალებათ კომპანია Gebrüder Weiss GmbH-ის და მისი უშუალო გავლენის ქვეშ მყოფი შვილობილი კომპანიების ყველა მმართველ დირექტორს, ხელმძღვანელს და თანამშრომელს მსოფლიო მასშტაბით. ხელმძღვანელებს მოუწოდებენ ითამაშონ სამაგალითო როლის და გაავრცელონ ფასეულობები ორგანიზაციის სიღრმეში.

1.

ფასეულობათა სისტემა

GW-ს გადააქვს არა მხოლოდ საქონელი და მონაცემები, არამედ გადაყავს ადამიანები, რომლებიც ქსელს შიგნით ან გარეთ ჩვენთან დაკავშირებულნი არიან. პროგრესული მოქმედებისა და ინოვაციური იდეების წყალობით, ჩვენს კლიენტებთან ერთად მომავალში მივდივართ. ამასთან მოწოდებული ვართ აღვაფრთოვანოთ ჩვენი მომსახურებითა და პროდუქტით, რისთვისაც შეგნებულად ვართ ფოკუსირებული რესურსმზოგავ გადაწყვეტებზე. ჩვენი სტრატეგია ეფუძნება შემდეგ ძირითად ფასეულობებს

- დამოუკიდებლობა
- მდგრადობა
- ერთგულება
- მომსახურების მაღალ დონე

ისინი ჩვენს ყოველდღიურ მოქმედებებს წარმართავს და ჩვენიქცევის კოდექსის ცენტრალურ ელემენტებს წარმოადგენს. GW თავისი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში ვალდებულია იმოქმედოს ყველა სამართლებრივი ნორმის შესაბამისად და დაიცვას ამ დოკუმენტში მითითებული პრინციპები. ჩვენ ველით, რომ ჩვენი საქმიანი პარტნიორები ასევე დაიცავენ ეთიკურ ფასეულობებთან დაკავშირებული საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და შეასრულებენ მოქმედ კანონებსა და ნორმებს.

2. სოციალური პასუხისმგებლობა

GW-ის მდგრადობა კომპანიის ძირითად ფასეულობას წარმოადგენს. ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ ჩვენი ვალდებულებები ამ სფეროში მუდამ იყოს გაზომვადი და გამჭვირვალე. ამ მიზნით 2009 წლიდან ვაქვეყნებთ მდგრადი განვითარების შესახებ ანგარიშს გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ მივისწრაფით ვიმოქმედოთ ეკონომიურად და ეკოლოგიურად მიზანშეწონილად, რითაც აქტიურად ვასრულებთ ჩვენს სოციალურ პასუხისმგებლობას.

დისკრიმინაცია

GW პატივს სცემს და აქტიურად ვახალისებს ადამიანების თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური, ეროვნული წარმოშობის, ასაკის, პოლიტიკური შეხედულებების, პროფკავშირული საქმიანობისა ან უნარშეზღუდულობის. კულტურული მრავალფეროვნება კორპორატიული ჯგუფის უპირატესობად მიიჩნევა, ცალკეული პირების ან ჯგუფების მიმართ დისკრიმინაცია არ დაიშვება.

სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე

პროფესიული სწავლება და შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლება GW-ს მიერ სტრატეგიული წარმატების ფაქტორად განიხილება. მიზანს წარმოადგენს თანამშრომლების მომზადება კომპანიის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნებისათვის. GW დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კვალიფიკაციის ამაღლებას, ამიტომ სასწავლო ღონისძიებების დასაფინანსებლად 1988 წელს შეიქმნა სპეციალური ფონდი.

შრომის და საწარმოს უსაფრთხოება, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა

ყველა თანამშრომელი იზიარებს მის სამუშაო გარემოში ადამიანებისა და გარემოს დაცვის პასუხისმგებლობას. ყველა შესაბამისი კანონი და წესი, რომელიც ეხება გარემოს დაცვას ან შრომის და საწარმოს უსაფრთხოებას, მკაცრად უნდა იქნას დაცული. იგივე ეხება კომპანიის შიდა ხელმძღვანელ პრინციპებს და წესებს. თითოეული ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაატაროს ინსტრუქტირება, ზედამხედველობა გაუწიოს და დაეხმაროს თავის თანამშრომლებს ამ ვალდებულების შესრულებაში. იმ სფეროებში, სადაც არ არსებობს უსაფრთხოების, ჯანმრთელობის ან გარემოს დაცვის წესები და არც კომპანიის შიდა ხელმძღვანელი პრინციპები და სპეციფიკაციები, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელთან შეთანხმებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული.

ადამიანებისა და გარემოს დაცვის ყველა კანონის შესაბამისად მოქმედება ჩვენი კომპანიის ფუძემდებელ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც თანაბრად გამომდინარეობს სამართლებრივი და ეთიკური პრინციპებიდან. არსებული კანონების მოთხოვნების მიღმაც კი, ჩვენი კომპანია მუდმივად მუშაობს პროცესებისა და პროცედურების გაუმჯობესებაზე, რათა კიდევ უფრო შემცირდეს გარემოს დაბინძურება და ადამიანების ჯანმრთელობის საფრთხე. ავარიების ან სამუშაო პროცესების შეფერხების შემთხვევაში, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად და მიზანმიმართულად მივიღოთ აუცილებელი ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ზიანის აღმოსაფხვრელად. ამიტომ, პასუხისმგებელი დეპარტამენტები დაუყოვნებლივ და სრულყოფილად უნდა იყოს ინფორმირებული. ამ დეპარტამენტებმა ასევე დაუყოვნებლივ და სრულყოფილად უნდა მოაწესრიგონ კანონით მოთხოვნილი ანგარიშები ხელისუფლების ორგანოებისთვის.

სამუშაო პირობები და ადამიანის უფლებები

ბავშვთა შრომა და ახალგაზრდა მუშები:
ბავშვთა შრომა დაუშვებელია და სამუშაოზე მიღების ასაკი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული ქვეყნის შრომის კანონმდებლობას.

ხელფასი და სოციალური შეღავათები:
შრომის ანაზღაურება და სოციალური შეღავათები კონკურენტუნარიანია და შეესაბამება ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას, განსაკუთრებით იმ კანონებს, რომლებიც ეხება მინიმალურ სახელფასო განაკვეთს, ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას და კანონით განსაზღვრულ შეღავათებს.

მუშაობის დრო:
სამუშაო დრო, ზეგანაკვეთის ჩათვლით, შეესაბამება მოქმედ ადგილობრივ კანონმდებლობას, რომლებიც არეგულირებენ სამუშაო დროს.

იძულებითი შრომა (თანამედროვე მონობა და ადამიანებით ვაჭრობა):
ნებისმიერი სახის იძულებითი ან ძალდატანებითი შრომა, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობა, დაუშვებელია.
ჩვენი საქმიანობის ტექნიკური და პროფესიული ორიენტაციიდან გამომდინარე, Gebrüder Weiss-ის თანამედროვე მონობაში ან ადამიანებით ვაჭრობაში ჩართვის ნებისმიერი რისკი დაუშვებელია. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მონობის თანამედროვე ფორმების გამოვლენა რთული საქმეა და დამატებით ძალისხმევას გავწევთ კანონის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
არა მხოლოდ ჩვენ, არამედ კონტრაქტორები, გამყიდვლები, მომწოდებლები და სხვა პარტნიორები, რომლებთანაც Gebrüder Weiss აწარმოებს ბიზნესს, არ უნდა ჩაერთონ რაიმე საქმიანობაში, რომელიც ეხება ადამიანებით ვაჭრობას ან მონობას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება:
თანამშრომლებს შეუძლიათ ღიად, შურისძიების, დაშინების ან შევიწროების შიშის გარეშე მიმართონ ხელმძღვანელობას სამუშაო პირობებთან დაკავშირებით. დასაქმებულებს აქვთ უფლება თავისუფლად გაერთიანდნენ, გაწევრიანდნენ ან მოიძიონ წარმომადგენლობა პროფკავშირებში და საწარმოო საბჭოებში, ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შევიწროება და დისკრიმინაცია:
დაუშვებელია თანამშრომლების მიმართ ნებისმიერი ფორმის შევიწროება ან დისკრიმინაცია.

3. საქმიანი პარტნიორები

ჩვენი მიზანია კლიენტების კმაყოფილება, რის გამოც გამორჩეული მომსახურების ხარისხი ჩვენი ყოველდღიური მუშაობის საფუძველია. ჩვენ მიერ შექმნილი საერთაშორისო კომპლექსური ორგანიზაცია უზრუნველყოფს იდეალურ პირობებს ამ მიზნის მისაღწევად. თავის კომპეტენციასა და პრობლემების გადაწყვეტის ორიენტაციაზე დაყრდნობით, ჩვენი თანამშრომლები დამარწმუნებლად ასრულებენ თავიათ სამუშაოს. ჩვენ მუდმივად ვისწრაფვით სრულყოფილებისკენ და გვიკავია აქტიური პოზიცია.

კონკურენციის და ანტიმონოპოლიური კანონები

GW ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას და იცავს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას; დაუშვებელია შემზღუდველი შეთანხმებები, მაგალითად ფასების დაფიქსირება. GW იგივე დამოკიდებულებას ელოდება თავის საქმიანი პარტნიორებისგან. GW-ს მიაჩნია, რომ მომსახურების ხარისხი მომხმარებლისთვის გადამწყვეტი კრიტერიუმი უნდა იყოს.

კორუფცია

GW Transparency International-ის წევრია და ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, პატიოსნების, სოლიდარობის, სამოქალაქო გამბედაობის, სამართლიანობის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებით. GW ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ნებისმიერ სახის კორუფციას, მათ შორის გამოძალვასა და მექრთამეობას. ჩვენმა თანამშრომლებმა და GW-ს მიერ ჩართულმა მესამე მხარეებმა არ უნდა შესთავაზონ და არ უნდა მიიღონ რაიმე სარგებელი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმიან გადაწყვეტილებებზე.

მომსახურების მიმწოდებლები

კონსულტანტებზე, აგენტებზე ან შუამავლებზე გაცემული ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს გაწეულ მომსახურებას. მესამე მხარის საქმეში ჩართვა არ უნდა ემსახურებოდეს საქმიანი პარტნიორებისთვის დაუშვებელი შეღავათების მინიჭების მიზანს.

თანამდებობის პირები/პოლიტიკური პარტიები

დაუშვებელია რაიმე სახის ფარული შეღავათების მინიჭება სახელმწიფო ორგანოების ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიების თანამშრომლებისთვის ან წარმომადგენლებისთვის. ეს მოიცავს ასევე შენატანებს ან შემოწირულობებს პოლიტიკური პარტიების ან კავშირებისათვის, ან არჩეული მოხელეებისა და პოლიტიკური უწყებების კანდიდატებისათვის.

შემოწირულობანი

სოციალური პროექტებისადმი ჩვენი ვალდებულების გარდა, განათლებისა და მეცნიერების სფეროს ორგანიზაციებისთვის შემოწირულობები დასაშვებია იმ პირობით, რომ ისინი ნებაყოფლობით სრულდება სანაცვლოდ რაიმე მომსახურების მოლოდინის გარეშე.

დაფინანსება

სპორტის, ხელოვნებისა და კულტურული სფეროს კლუბების დაფინანსება დასაშვებია, სანამ ის ნებაყოფლობით სრულდება და ნებისმიერი მოსალოდნელი ანაზღაურება გაწერილია ხელშეკრულებაში.

ფულის გათეთრება/ტერორიზმი

GW-სთვის ბუნებრივია ფულის გათეთრების და ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლაში პრევენციული როლის შესრულება და საკუთარი გავლენის სფეროში მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების საწინააღმდეგოდ ზომების გატარება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სანქციების სიები

GW-ის ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობა ექვემდებარება მუდმივ შემოწმებას პოტენციური ტერორისტული საქმიანობის კუთხით და მოწმდება შესაბამისი სანქციების სიებით.

ჩვენი თანამშრომლების პასუხისმგებლობა და ვალდებულება

4.

GW თვლის თავის თანამშრომლებს კომპანიის უდიდეს აქტივად და მათი უსაფრთხოება და კმაყოფილება კომპანიისთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. GW-სათვის, როგორც ოჯახური კომპანიისთვის ტრადიციულია ხედვა, რომ ფასეულობები ორგანიზაციის შიგნით და გარეთ ადამიანებთან მუშაობის საფუძველია. თანამშრომლებს მოეთხოვებათ ამ წესების დაცვა.

საჯაროდ წარმოჩენა

GW-ის საზოგადოებრივ აღქმაზე ასევე გავლენას ახდენს ჩვენი თანამშრომლების საჯაროდ წარმოჩენა, მათ შორის ციფრულ საზოგადოებაში. ჩვენ ყოველთვის ვმოქმედებთ მეგობრულად და ვართ ორიენტირებული ჩვენი მომხმარებლებისა და საქმიანი პარტნიორების მომსახურებაზე, ამასთან ვეპყრობით მათ სათანადო პატივისცემით.

ინტერესთა კონფლიქტი

კომპანიის მიმართ ჩვენი თანამშრომლებისგან აბსოლუტურ ლოიალობას ველით. ინტერესთა კონფლიქტი თავიდან უნდა იქნას აცილებული და ხელმძღვანელობა ან შესაბამისობის დეპარტამენტი უნდა იყოს ინფორმირებული მაშინაც კი, როდესაც არსებობს მხოლოდ კონფლიქტის არსებობის ეჭვი. ინტერესთა კონფლიქტი ვითარდება მაშინ, როდესაც თანამშრომელთა პირადი ან საკუთარი ფინანსური ინტერესები GW-ს კორპორატიულ პოლიტიკას ან მის საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობას უპირისპირდება. გვერდით საქმიანობაში ჩართვისას და საქმიანი პარტნიორების ან კონკურენტების საქმიანობაში მონაწილეობისას ინტერესთა კონფლიქტი უნდა გამოირიცხოს.
სამეწარმეო საბჭოში ან პროფკავშირში რაიმე ფუნქციის შესრულება ინტერესთა კონფლიქტად არ განიხილება.

მოსაწვევებისა და საჩუქრების გაცემა და მიღება

სამართლებრივი დებულებებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მოსაწვევების და საჩუქრების გაცემა ან მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როცა იგი მიუღებელი ზემოქმედების შთაბეჭდილებას არ ტოვებს. წინაპირობაა, რომ ისინი ნებაყოფლობითი იყოს და არ მიიღება/არ გაიცემა რაიმე საპასუხო მომსახურების მოლოდინით.

კონფიდენციალობა

არასაჯარო ინფორმაცია კლიენტების, პარტნიორების, ქვეკონტრაქტორების, თანამშრომლებისა და კონკურენტების შესახებ კონფიდენციალურად ჩაითვლება და არ გადაეცემა არაუფლებამოსილ მესამე მხარეს და ასევე არ გამოიყენება პირადი მიზნებისათვის.

ანტიკორუფციული პოლიტიკის დაცვა

GW-ის ყველა თანამშრომელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას ქცევის კოდექსთან დაკავშირებული ანტიკორუფციული პოლიტიკა.

5. ნდობა

მყარი საფუძვლის წყალობით, GW წარმოადგენს დამოუკიდებელ და სტრატეგიულად მდგრად წარმატებაზე ორიენტირებულ კომპანიას. გრძელვადიანი მიზნების მიღწევას აშკარა უპირატესობა აქვს მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაციასთან.
GW ზრუნავს თავის მფლობელებზე და თანამშრომლებზე, რომელთა ერთგულება და ნდობა მიზნების მიღწევის საწინდარია.

კომპანიის ქონება და პლაგიატი

თითოეული თანამშრომელი ვალდებულია პასუხისმგებლობით მოეკიდოს კომპანიის ქონებას. აკრძალულია კომპანიის ობიექტების ან ნივთების გამოყენება პირადი მიზნებისთვის ან მათი გატანა კომპანიის ტერიტორიიდან კომპეტენტური დეპარტამენტის ზუსტად ფორმულირებული თანხმობის გარეშე. კომპანიის აქტივები მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ აქტივებს/ქონებას, არამედ არამატერიალურ აქტივებსაც (ინტელექტუალურ საკუთრებას, პროგრამული პროდუქტების ჩათვლით), ინფორმაციას და ჩვენი თანამშრომლების იდეებსა და ცოდნას. თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია კომპანიის ამ აქტივების დაცვაზე. კომპანიის აქტივები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ დასაშვები საქმიანი მიზნებისთვის და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული არაკანონიერი მიზნებისთვის. და ბოლო საკითხი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი: სამართლებრივი და შიდა უსაფრთხოების წესები (მათ შორის შრომის უსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის ხელმძღვანელი პრინციპები), რომელიც უნდა დაიცვას ყველა თანამშრომელმა, ემსახურება კომპანიის აქტივების დაცვას და საბოლოო ჯამში, პრეტენზიების შემთხვევაში პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. პლაგიატის შეგნებულად გამოყენება დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

ანგარიშგება

ყველა ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს და შიდა ხელმძღვანელ პრინციპებს და ქმნიდეს ჭეშმარიტ და სამართლიან წარმოდგენას კომპანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მონაცემთა დაცვა

აკრძალულია პირადი მონაცემების დამუშავება, გამჟღავნება, ხელმისაწვდომად ქცევა ან სხვაგვარად გამოყენება ნებართვის გარეშე. თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა, კერძოდ კი, აქტიურად შეუწყონ ხელი პირადი მონაცემების დაცვას უნებართვო წვდომისგან. პირადი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გამოყენება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი დებულებების მკაცრი დაცვით, რამდენადაც ეს აუცილებელია დავალებების კანონიერად შესრულების ზუსტად განსაზღვრული მიზნისთვის. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, საჭიროა მონაცემთა დაცვის სპეციალისტთან კონსულტაციის გავლა.

6.

ქცევის წესები

ქცევა კომპანიის შიგნით

კომპანიის ყველა თანამშრომელს შეაქვს თავის წვლილი კორპორატიულ კულტურაში, რომელიც ხასიათდება კეთილსინდისიერი თანამშრომლობისა და მხარდაჭერის პრინციპებზე დაფუძნებული ქცევით. ტოლერანტობა და ნდობა ყოველდღიური ურთიერთქმედებისას წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის ერთგულია კომპანიის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები. გარდა ამისა, თითოეული თანამშრომელი ვალდებულია პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად მოიქცეს. თითოეული ადამიანის პატივი და ღირსება უნდა იქნას დაცული. ურთიერთდაფასება ეფუძნება თითოეული თანამშრომლის შინაგან რწმენას და მოქმედებისთვის მზაობას. ეს ასევე ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილზე არსებული პრობლემები განიხილება და მათი გადაწყვეტის მოძიება ერთობლივად ხდება. ეს არის ღია, ტოლერანტული და სამართლიანი გარემოს შექმნის ერთადერთი გზა.

ადამიანის პირადი უფლებები

ჩვენ ველით, რომ ნებისმიერი თანამშრომელი გამოიჩენს პატივისცემას თითოეული ადამიანის პირადი ღირსების, კონფიდენციალურობის და პირადი უფლებების მიმართ. ჩვენ არ შევეგუებით დისკრიმინაციას (ასაკის, ქმედუუნარობის, სქესის, წარმოშობის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების, რასის, რელიგიის და სხვა ნიშნით), სექსუალურ ან სხვა პირად შევიწროებას ან შეურაცხყოფას. ასევე ჩვენ არ შევეგუებით იძულებას, ძალადობას ან მისი გამოყენების მუქარას. კომპანია მოწოდებულია ყველა თანამშრომლისთვის თანაბარი შესაძლებლობები უზრუნველყოს.

ქცევა მომხმარებლების, კონკურენტების და საქმიანი პარტნიორების მიმართ

კომპანიის რეპუტაციას აყალიბებს თითოეული ადამიანის ქცევა მომხმარებლების, კონკურენტების და საქმიანი პარტნიორების მიმართ. კომპანია მოელის სამართლიან, ადეკვატურ და პროფესიონალურ ქცევას მომხმარებლების, კონკურენტების და საქმიანი პარტნიორების მიმართ ყოველგვარი ფავორიტიზმისა და პირადი მოტივებით დისკრიმინაციის გარეშე. კომპანია სრულად იცავს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას და კონკურენციის წესებს. ფასის დაფიქსირება ან სხვა შეთანხმებები კონკურენტებთან კატეგორიულად აკრძალულია. კონკურენტებთან ურთიერთობისას თანამშრომლები არ განიხილავენ კომპანიის შიდა საკითხებს, მათ შორის ფასებს, ხარჯებს, ორგანიზაციასა და პროცესებს და ასევე სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციას. კომპანია ერთგულია ბიზნეს მიზნების მიღწევის პრინციპის მხოლოდ კანონიერი და ეთიკურად გამართლებული საშუალებებით. ჩვენ ვმონაწილეობთ კონკურენციაში კანონიერი და სამართლიანი საშუალებებით. ანტიმონოპოლიური კანონის წესების დაცვის ვალდებულება ასევე ვრცელდება თითოეულ თანამშრომელზე. კონკურენტებთან შეთანხმება ფასებსა და პირობებზე განეკუთვნება ქცევის ფორმებს, რომლებიც წარმოადგენს კარტელის შესახებ წესების დარღვევას ნებისმიერ გარემოებაში. ასევე აკრძალულია ყალბი შეთავაზებების წარდგენა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ცალკეული პროდუქტებისა ან სერვისების ფასწარმოქმნაზე. მომწოდებლები და საქმიანი პარტნიორები უნდა შეირჩეს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

7.

ქცევის კოდექსის დაცვა

GW-ს ქცევის კოდექსი მსოფლიოს მასშტაბით კომპანიის ყველა ლოკაციაზეა დანერგილი და მისი დაცვა სავალდებულოა ყველა თანამშრომლისათვის. მოქმედება ვრცელდება კომპანია Gebrüder Weiss GmbH-ზე და მის შვილობილ კომპანიებზე, იმ პირობით, რომ ისინი ჯგუფის საკუთრებაში მინიმუმ 50%-ით არიან და მათ ხელმძღვანელობს Gebrüder Weiss GmbH ან მის მიერ დანიშნული პირები ან ორგანოები.

დაცვის ვალდებულება

ქცევის კოდექსის დაცვა სავალდებულოა GW-ჯგუფის ყველა ხელმძღვანელის, უფროსის თუ თანამშრომლისათვის. ამ ხელმძღვანელი პრინციპების შესრულების პასუხისმგებლობა ნაწილდება ზემოდან ქვემოთ.

დარღვევების შესახებ შეტყობინება

კანონმდებლობის ან შიდა პოლიტიკის დარღვევების შესახებ GW ჯგუფის თანამშრომლები ვალდებულია შეატყობინონ თავის უშუალო ხელმძღვანელს, სხვა უფროსს, სამეწარმეო საბჭოს ან შესაბამისობის დეპარტამენტს. გარდა ამისა, შესაძლებელია დარღვევების შესახებ შეტყობინება როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ინფორმირების სისტემის მეშვეობით. ნებისმიერი წარმოდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალურად იქნება განხილული.

ინფორმაციის მომწოდებლის დაცვა

GW არ შეეგუება ქმედებებს იმ პირების მიმართ, რომლებიც შეატყობინებენ ქცევის კოდექსის ფაქტობრივი ან სავარაუდო დარღვევების შესახებ. თავის მხრივ, GW ასევე იტოვებს უფლებას მიიღოს დისციპლინარული ზომები იმ თანამშრომლის მიმართებაში, რომელიც ცრუ ბრალდებებს წინასწარი შეცნობით აყენებს.

შედეგები

კანონების ან შიდა ხელმძღვანელი პრინციპების დარღვევის შემთხვევაში, კომპანიის, ჩვენი თანამშრომლების, საქმიანი პარტნიორების და ასევე საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით მიიღება შრომის კანონმდებლობით გაწერილი სანქციები და დისციპლინარული ზომები. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობის ნებისმიერი დარღვევა, რომელიც შესახებაც გახდება ცნობილი, დაისჯება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია

თუ გაქვთ რაიმე დამატებითი შეკითხვა ან გჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია, გთხოვთ დაუკავშირდეთ უშუალოდ შესაბამისობის დეპარტამენტს.